# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

| | |
|---|---|
| წლიურათ . . . . . . . . | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით . . . . . | 4 მანეთი |
| თვიურათ . . . . . . . . | 3 აბაზი |

**ცალკე ნუმრის ერთი შაური.**

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 88

წელიწადი მეორე

1913

სამშაბათი, 25 ივნისი.

**მისამართი:** Кутаисъ, редакція газ. „И М Е Р Е Т И“.

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913 **იმერეთი**

**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| ერთი წლით . . . | 7 | მანეთი. |
| ნახევარი წლით . . | 4 | მანეთი, |
| ერთი თვით . . . | 4 | აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . | 1 | შაური, |

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ. редакція газеты „ИМЕРЕТИ“

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

---

## მოწამეთის მონასტრის წინამ[illegible]ვარი

…თ აცხადებს, რომ პირველ ივლისს ხსენებულ მონასტერში მოხდება …ვარო ვაჭრობა ქ. ქუთაისში არსებული სამონასტრო ორსართულიანი …ობის საფუძვლიანათ შეკეთებისათვის

მსურველთ დაწვრილებით ცნობების მიღება შეუძლიათ მონასტერ-… ხაზინადრისაგან.

---

## წყალ-გაღმა უბანში.

…ირის ქუჩაზე ღოღობერიძის შენობაში 8 ივნისიდან გაიხსნა და უკვე წარმოებს ქალაქის მეორე ნორმალური

# აფთიაქი.

---

### ახალი გამოგონება მეცნიერებაში

…თადერთი სახმარებელი ვენახის აქიმობისათვის და მცენარეთა დასაცავათ სოკოების ავათმყოფობისაგან და მწერთაგან

**ახალი სითხე ქაკმენის UU**

…თავრესი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის **კანტორა კლო…ურული ქუთაისში** საწყობი და ნარდი გაყიდვა **ი. გოკიელოვის შვილების სავაჭრო სახლში ქუთაისში.**

---

## ქალთა პროგიმნაზია

მარიამ კვინიხიძის ასულისა

…დავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.

---

…ოსკოვის უმაღლეს ქალთა ინსტიტუტ…სრულებული ემებს გაკვეთილებს ყველა საგნებში …შვალო სასწავლებლებში მოსამზადებლათ; იცის …ირეტიულათ გერმანული ენა: **მისამართი**; მესამე ალექსანდრეს ქ. შესახვევში … სახლი კანდელაკისა.

---

…ბილის **აქიმი ანა ბუტულოვის ასული** გადავიდა ახალ ბი…: პუშკინის ქუჩა სახლი ჯანელიძისა ქა…ქის საბჭოს პირდაპირ და წმ. ნინოს …ლთა სასწავლებლის გვერდით

---

შინაგან სნეულებათა **აქიმი ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს. სალ. …7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, … სახლი.

---

**აქიმი კ. თ. ტყეშელაშვილი.** ათი აპრილიდან ღებუ…ბს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიუ… კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახ… აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან …ეგრაფის შესახვევში.

---

**აქიმი ვ. ი. ფეშინი** ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

---

**აქიმი ა. მ. ას თიანი** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგან ქალთა სნეულებს და ბავშებს**) ახალ ბინაზე. ქარვასლის ქ. კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ. რადიუმის გვერდით ჩილინგაროვის ლი.

---

**აქიმი ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

---

## ქუთაისი.

პაებზე დამყარებული ამხანაგობა

**კირაკოზოვი ᲓᲐ ბ. გ. ოგანოვი.**

**გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ა.**

**და ზაფხულის სეზონი**

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ჟივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.

---

## აქიმი ი. ჩარექოვი

ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

---

## იყიდება

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

---

ვღებულობ ყოველგვარ საკერავს

**თეთრეულს**

ქალისა და კაცისას.

გეგუთის (ჭავჭავაძის) ქუჩა ჭანტურაიას სახლი № 23.

სოფიო ზვიადაძისა.


## დღიური

სერბიის ჯარს ებძანა ბულგართა სიმაგრეებზე იერიშის მიტანა და ცარგრადით სოფიას შესვლა.

— სალონიკში ხანძლივ ბრძოლას შემდეგ, ბულგარლები ბერძნებს დანებდენ. ბერძნებმა 1200 ბულგარელი ტყვეთ წაიყვანეს.

— ეგრინ-ალანკაში ბულგარლები სასტიკათ დამარცხდენ. ომის ოფიციალურათ გამოცხადებას დღე დღეზე მოელიან.

— რუსეთმა მოსთხოვა სერბიასა და ბულგარეთს საომარი მოქმედების შეჩერება და მინისტრების დაუყონებლივ პეტერბურგს გამოგზავნა.

— ინგლისი მომხრეა იმ სახელმწიფოების, რომელთა მიზანია მშვიდობიანობის ჩამოგდება.

— რუმინიამ ოფიციალურათ გამოაცხადა: თუ სერბიელთა და ბულგართა შორის ერთი დღის განმავლობაში ომი არ შეწყდა მობილიზაციას მოვახდენ და ჩემს ჯარს ბულგარეთში შევიყვანო.

— სტამბოლში ავსტრიის ელჩმა გასაფრთხილებელი წერილი მიიღო. სწერდენ—ამ კვირაში უმაღლესი თანამდებობის პირთა მკვლელობა მოხდებაო.

— პორტამ გადაწყვიტა—მოკავშირეთა შორის ომში ოსმალეთმაც მიიღოს მონაწილეობა.

— ჩატალჯში მდგომ ჯარს განუზრახავს ხონთქრის ტახტიდან გადაყენება და დიქტატორათ იზექფაშის გამოცხადება.

— ორი კვირაა ოსმალეთის მთავრობამ დააპატიმრა და ციხეში ჩასვა ვინმე რუსი, რომელიც თავის თავს კაპიტანს უწოდებს. მას ჯაშუშობას აბრალებენ, ციხეში ცუდათ ეპყრობიან.

— საბერძნეთმა გადაწყვიტა ბულგარეთიდან თავისი ელჩი გაიხმოს.

— რუმინია ნახევარი მილიონ ჯარისკაცს საზღვარზე აგროვებს.

— ჩეხელმა დოსტაქრებმა სერბიასა და ბულგარეთში წასვლაზე უარი გააცხადეს.

— საფრანგეთის სტამბოლელი ელჩი სომეხთა მდგომარეობის შესახებ პორტას შეეკითხა.

— საოათფიროს მემარცხენე დეპუტატებს ქალებისთვის ვექილობის უფლების შესახებ მეორეჯერ შეაქვთ კანონპროექტი.

— ამ დღეებში პეტერბურგში მოხდება ფარული პოლიციის უფროსთა კრება.

— სევასტოპოლის მეზღვაურთა დასჯის წლის თავზე პეტერბურგში გაძლიერებული ჩხრეკა იყო.

— ვინმე ტელეგრაფის მოხელე კრამოვიჩმა პარიზელ ნათესავისაგან 40 მილიონის მემკვიდრეობა მიიღო.

— მოსკოვში სასულიერო მთავრობის განკარგულებით მურომცევის ძეგლის მუშაობა შეაჩერეს.

— პიატიგორსკში როდიჩევს ჟანდარმთა უფროსმა ლექციის წაკითხვის ნებართვა მისცა, ხოლო ოლქის უფროსმა კი ეს ლექცია აკრძალა.

— ებრაელებზე თავდასხმის გამო კიევიდან მრავალი ებრაელი მიდის

— ლოძში გაფიცვას გამო სააქციონერო-სამანუფაქტურო ქარხანა დაიკეტა, სადაც 7 ათასი მუშა იყო.

— იაპონიის სამხედრო დელეგაცია მოსკოვს მივიდა.

## კავშირი წყდება.

ბალკანეთის ტრაგედიამ მეტის სიმწვავით წამოყო თავი. ბულგარელებმა დიპლომატიური მოლაპარაკებას თავი ანებეს და უცბათ, მოულოდნელათ თავს დაესხენ სერბია—საბერძნეთს. შმდეგი ბერხტჰოლდის პოლიტიკისა და ბულგართა შოვინისტური სულისკვეთებისა ცხადი და აშკარაა. გუშინდელი მოკავშირენი ალარავითარ ძალლონეს, ალარავითარ შურსა და ღვარძლს არ ინანებენ ერთი მეორისთვის და ძმამ ძმას გალესილი ხმალი უკვე სასიკვდილოთ მოუქნია. თუმცა ოფიციალურათ ჯერ არაა ომი გამოცხადებული, მაგრამ აშკარაა, გუშინდელ მოკავშირეთა შორის მომავალში გულწრფელობა შეუძლებელია. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვს ათასობით ითვლიან, ათასობით ითვლიან ტყვედ წაყვანილებსაც. ბულგარეთის მიერ სერბიისა და საბერძნეთის ჯარზე მოულოდნელათ თავდასხმას ბულგარეთისთვის სასურველი შედეგი ვერ მოყვა, რამდენიმე ადგილას ბულგარები უკუაქციეს. საქმე რთულდება, მწვავე ხასიათს ღებულობს და განვითარების როგორი საფეხურს მიაწევს თანამედროვე ომი ეს ორიოდე დღის საკითხია. რუმინია ბულგარეთის წინააღმდეგ გაილაშქრებსო. ბალკანეთზე ბულგართა გაძლიერება და მის მიერ ბალკანეთის მოკავშირე სახელმწიფოთა დაჯაბნება რუმნიას იმ სიფრთხეში აგდებს, რომელიც დღეს თუ არა ხვალ მაინც რეალურ სახეს მიიღებს და იქნებ მომავალში მეფე ფერდინანდის მედავითნეებმა ,,სულთათანა'' უგალობონ მეფე კარლოსის საბძანებელს. ამნაირათ აშკარაა რუმინია ნეიტრალური ნიადაგზე ფეხს ვერ მოიკიდებს, საერთო ფერხულში იძულებულია იგიც ჩაერიოს და ცხადია ეს ჩარევა ბულგარეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული, სერბია—საბერძნეთი რუმინიას აუცილებლათ მომავალ მოკავშირეთ სახვენ. რუმინიის ამგვარი მოქმედება ცივ წყალს ასხამს ავსტრიას, რომლისთვის ბალკანეთზე სერბიის გეგემონია მომამკვდინებელია. სლავიანთა ტენდეციების დაცვა, ბალკანეთის საქმეთაგან უცხო, გარეშე ხელების ჩამოშორება სერბიას აქვს დაკისრებული. სერბია რუსეთის დიპლომატიის ჰეშიკია, რომელიც ერთგულებით და მხნეთ უნდა ემსახუროს სლავიანთა გაერთიანება—გაძლიერების იდეას. ძლიერი სერბია ავსტრიისთვის ის იქნება მომავალში, რაც ბალკანეთის, კავშირი ოსმალეთისთვის იყო, კავშირი რომელმაც ოსმალები განდევნა, აუცილებლათ შეცდება ავსტრიასაც ოსმალეთის დღეები აწვნიოს და ცხადია ავსტრიის დიპლომატებსაც ეს აწუხებდათ და აწუხებს... როცა ცთილობენ ბულგარეთი სამის კავშირს დაუახლოვონ და სურვილი აქვთ სერბია ბულგარეთს დაუმონონ. თუ ბულგარებმა რუმინიის ნეიტრალობა იშოვეს და როგორმე ჩააჩუმეს და მარტო სერბია—საბერძნეთთან მოუხდათ ბრძოლა, შეიძლება საერთაშორისო ომს გამალიზიანებელი შანსები მოაკლდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუმინიის საქმეში ჩარევას, შეუძლებელია—ავსტრიამ გულხელდაკრეფილი უცქიროს და ამნაირათ არა მარტო ბალკანეთი, მოსალოდნელია -ევროპის ტერიტორიაც ბრძოლის ველათ გადაიქცეს. რუსეთს არ შეუძლია გულგრილათ უყუროს ავსტრიის მოქმედებას, ბალკანეთის საქმეებში ჩაარევას და იძულებული შეიქნება ავსტრიის დიპლომატთა ლტოლვას წინ გადაეღობოს, და ფრთა შეაკვეცოს. ამგვარათ სამის კავშირისა და სამის შეთანხმების შეჯახება იოლათ მოსალოდნელი ხდება. რუსეთს მშვიდობიანის გზით სურს საქმე მოაგვაროს და ეჭვს გარეშეა იგი უკიდურეს ზომებსაც მიმართავს, რომ სერბია—საბერძნეთ—-ბულგარეთის შეტაკებას ოფიციალური ხასიათი არ მისცეს და ჩაგონებითა ᲓᲐ მუქარითაც ბალკანეთის ტრაგედიას სიმწვავე მოაშოროს. ამ შემთხვევაში, რუსეთი მარტო არ იქნება, მას მხარს დაუჭერს მოკავშირე ინგლის—საფრანგეთი და, თუ გნებავთ, არც ავსტრიის მოკავ-

შირე იტალია—გერმანიისთვისაა ამჟამათ ომი ხელსაყრელი... დიდი ცთაა საჭირო, დიდი ენერგია, რომ ბალკანეთის მიდამოებზე კვლავ სისხლის ნავადულებმა არ გადმოხეთქოს და კავშირი არყოფნის უფსკრულში არ გადაჩეხოს.

**იმერი.**

# ახალი ამბავი

**აბრეშუმი პარკის ბაზარი.** ქუთაისის ბაზარზე 23—24 ივნისს პარკი პირველი ხარისხისა იყიდებოდა ფუთი 16 მ. 4 აბაზ. 17 მ; მეორე ხარისხისა 15 მ.—და 15 მ. 10 შაურათ. ხონში 17—17 მ. 1 აბაზ. მეორე ხარისხის—15 მ. 10 შ. და 16 მ. სამტრედიაში 16 მ. 10 შ.—16 მ. 4 აბაზ. მეორე ხარისხისა 15 მ. და 15 მ. 10 შ. გურიიდან და ზემო-იმერეთის პარკის სავაჭრო პუნკტებიდან მიღებული ცნობებია აბრეშუმის პარკი ცოტათ ნაკლებ ფასათ გადის.

✦ ჯერჯერობით ბაზარზე შემოტანილი აბრეშუმის პარკის რაოდენობა მოწმობს ქუთაისის გუბერნიაში ამ წელიწად ში პარკის ნაკლებ მოსავალს.

✦ ქუთაისში საზოგადო სასწორზე პარკის მწონავ კომისიაში შემდეგი პირებია დანიშნული: თავჯდომარეთ ვლ. სულაქველიძე; წევრებათ: ილია ბახტაძე, პორფილე მეფარიშვილი, კლიმენტი მესხი და ბიკტორ სვანიძე; სამტრედიაში კომისიის წევრებათ არიან: ვასილი კოხრეიძე, ფილიმონ მენაბდე, ნიკიფორე მენაბდე, მეთოდე ნიკურაძე, გიგო შენგელია, სერაფიონ ბირქაია, ბიკტორ ხურცილავა, ბიკტორ ბასკინჩალაძე და ნიკოლოზ სტურუა.

✦ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის რწმუნებულმა აგრანომმა ქუთათელაძემ უკვე დაიარა ქუთაისის გუბერნიის ყველა სააბრეშუმო რაიონი და დააფუძნა კომისიები, რომელთაც დავალებული აქვთ თვალ-ყური ადევნონ წონას. ჯერ ამ ხანათ მიღებული ცნობებით ყველა სააბრეშუმო რაიონში კომისიები ფხიზლობენ და სამსახურს უწევენ გლეხებს პარკის წონასა და ანგარიშში.

✦ ქუთაისში, გუშინ აბრეშუმის პარკი ფუთი 17 მან. და 1 აბაზათ გაიყიდა; ხონში—პირველი ხარისხის—17 მ.—18 მ. მეორე ხარისხის—16 მ.—10 შ. მესამე ხარისხის—16 მან. დ. ლანჩხუთში პარკის ფასი 16—17 მანეთია. სასწორზე პარკს კომისიის წევრები სწონიან. კომისიის წევრებათ ინტელიგენტებია.

✦ ოდიშის თავად-აზნაურთა ბევრ ოჯახში ბევრი ძვირფასი ძველი ხელთნაწერი წიგნი და ნივთი მოიპოვება. ამ ნივთების შეძენასა და შენახვას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მხრით ეთნოგრაფიულ საზოგადოებას მართებს შრომა. სასურველია ნივთებს დროზე მოაგროვებდენ.

✦ ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელიც 24 ივნისს უნდა მომხდარიყო, 26 ივნისისათვის გადაიდვა. კრება სხვათაშორის იმსჯელებს გუბერნატორის წინადადებაზე, რომელიც შეეხება ნორმალური დასვენების წესების დაუმტკიცებლობას საქალაქო საქმეთა საკრებულოს მიერ. გასარჩევ საქმეთა შორის არის საკითხი ხორცსა და პურზე ნიხრის დაკლების შესახებ.

✦ ბათომში ქართული ეკლესიის ამგებმა კომიტეტმა ქუთაისის ქალაქის საბჭოს დახმარება სთხოვა. ამის შესახებაც საბჭო ამავე სხდომაზე იმსჯელებს.

✦ გამოვიდა „სასოფლო გაზეთის“ მე-30 №, სხვათაშორის, შემდეგი შინაარსით: 1, ბალახის თესვა აგრ. ა. მ. ვასილევსკისა; 2, ჩაის ბუჩქის გაშენება—აგრ. ერ. ნაკაშიძისა; 3, მყნობის დრო მოახლოვდა—ნ. კალანდაძისა; 4, რძე და მისი გამოყენება აგრ. რ. გ—შვილისა; 5, ფუტკარი და მეფუტკრეობა—აპ. წულაძისა; 6, მესაქონლეობა—რ. გ—შვილისა; 7, ფრინველების მნიშვნელობა მეურნეობაში—პეტ. ფედოროვისა და სხვ.

✦ ბათომში 23 ივნისიდან გამოდის ყოველდღიური რუსული გაზეთი, ბ-ნი ვ. სახნოვსკის რედაკტორობით, რომელიც ადრე წევრი იყო ბათომის ქალაქის თვითმართველობისა.

✦ სინოდმა საქართველოს ეგზარხოსის მოხსენების თანახმათ ქართველთა ჩვეულება—ხატის წინ სალვდელოების თანადასწრებით დაფიცების შესახებ აკრძალა.

✦ პეტერბურგის სენატის საკასაციო დეპარტამენტი ივლისის შვა რიცხვებში შატილოვის, ჩიჩუას, ჯიბლაძისა და რამიშვილის პოლიტიკურ საქმეებს გაარჩევს.

✦ უგან. თავ. უჩა დადიანს საქმე კიდევ გადადვეს.

✦ 29 ივნისს ბათომში რუსულ-ქართული კონცერტი გაიმართება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს: ნინო საყვარელიძის ასული, მომღერალი ჩუბინიძე და ლეჟავა.

✦ ი. ეკალაძე—ცინცაძე დასავლეთ-საქართველოს დაბა-სოფლებში შემდეგ თემაზე წაიკითხავს ლექციას: კრიტიკული განხილვა ნ. შიუკაშვილის დრამის „სიმახინჯისა“ და მიზეზები ქართველ ახალგაზდათა უმრავლესობის დამახინჯებისა. ლექციის შემოსავალი დროებით შეჩერებული გაზეთი „ქართლის“ რედაქციას მოხმარდება.

✦ თფილისის ბუნებისმეტყველთა და აქიმთა კრებას ახალი წევრები თანდათან ემატება. 20 ივნისს კრებაში მონაწილეთა რიცხვი 3424 უდრიდა.

✦ ქუთაისის ბაღში ერთი კარგი ჩვეულება შემოიღეს: თითქმის ყოველ საღამოს ბავშები თავს მოიყრიან თავს საერთოდ თამაშობენ, ცეკვავენ; და კითხულობენ ლექსებს.

✦ თფილისში 29 სეკტემბერს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა და რუსეთის მეხილეობის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილების თაოსნობით ხილეულობის გამოფენა გაიმართება.

**შეცდომის გასწორება:**

ჩვენი გაზეთის კვირის ნუმერში ქართული გიმნაზიის კურს დასრულებულთა სიაში შეცთომით ი. ელიაშვილის მაგივრათ ელიბაშვილი იყო დაბეჭდილი.

### მოწერილი ამბავი.

**ს. ხეთა.** (ოდიში).

ს. ხეთა ბუნებით მდიდარი სოფელია, სოფელში არსებობს ვაჟთა ორკლასიანი სამინისტრო შკოლა და ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი. ერთი წლის წინათ სამეურნეო ბანკიც გაიხსნა. ბანკი ხალხს დიდათ ეხმარება. გვაკლია სამკითხველო.

16 ივნისს აქ მოვიდა ზუგდიდის მაზრის უფროსი ბ-ნი ჩერნოვი. სოფლის კანცელარიაში ყრილობის დროს მაზრის უფროსმა ადგილობრივ მამასახლისს ჯაჭვი ჩამოხადა. მამასახლისს ბრალათ ედება ბოროტმოქმედება..

**აჭარის საზოგადოება** (ლეჩხუმი).

ლეჩხუმში ცრუმორწმუნოება ძალზე გავრცელებულია. ხალხი პარასკეობით მიწას არ მუშაობს, მეაბრეშუმეობასაც არ მისდევენ:—წმინდა გიორგი გაგვიჯავრდებაო. ივათმყოფობის დროს ხალხი სოფლის აქიმბაშს და შემლოცველს იშველიებს. დღეობებზე კი დიდს ხმრჯს ეწევა და ისეც დაზარალებულ ხალხს ბოლოს უღებს.

**ლანჩხუთი** (გურია.)

ლანჩხუთში 21 ივნისს ბოროტგამზრახველებმა ბ. ჯორბენაძის სამანუფაკტურო დუქანი გაქურდეს, გაიტანეს ფულათ 70 მანეთი და 400 მანეთად ღირებული ფართლეული. რამდენიმე პირი დააპატიმრეს.

# სამშაბათელა.

ერთმა—ვინც იყო—ერთი ახირებული, მარა ჭკუაში მოსასვლელი აზრი მითხრა ამასწინათ: მისთანა დროა ახლა, რომ უნდა ეცადო და ისეთ ჯგუფში ჩაეწერო, ისეთებს მიეკედლო, რომ რაც უნდა სიავე და მავნებლობა მოიქმედო და ჩაიდინო, შუბლზე მოწმობა მოგაფაროს ამ ჯგუფმა, სხვადასხვა ტაკტიკური მოსაზრებით, რომ შენ წმინდა ხარ, სულიან ხორციანათ უმწიკვლო, ანგელოზი, სიმართლის მოციქული, ცხვარი, რწყილს ვერ გაალვიძებ, და თუ გმტრობენ, მხოლოთ იმიტომ, რომ მათი „აფხანიკი“ არა ხარ.

მახსოვს ის ნეტარი დრო, როცა სიტყვის თავისუფლება ახალი ხილი იყო, სიდამპლე ჯერ არ შეპაროდა და თავისუფლად ვუსხედით თავისუფალ სუფრას; თავისუფალი სიტყვები პანტასავით იყო, ალტყინებული ვიყავით, აფრთოვანებული. ამა დროს, სად იყო და სად არა, მოვიდა ამბავი, რომ მოკლესო... ვინც იყო—ეგ სულ ერთია...

მთელს კუთხეს არბევდა იგი, ანადგურებდა თავისი ბრბოთი, იცარცვ-იგლეჯბოდა‘ ათას სიბინძურეს ჩადიოდა, მთელს კუთხეს აუტანელი ხარკი დაადვეს მისი წყალობით, აიკლეს ხალხი...

მოკლესო!

მარა ერთ დროს ჯგუფის კაცი იყო, წევრი და იმ თავისუფალ სუფრაზე ერთმა ერთ დროს მისიანი კაცის სახელი ნეტარებით მოიხსენია, დალია მისი შესანდობარი, მოიხსენია მისი სული... დალია სუფრამაც სტიქიურათ...

ექვსი-შვიდი წელიწადია, მგონი, მას შემდეგ და შხამათ და ძირმწარეთ მაგონდება ის სუფრაც, მისი სანოვაგე—სასმელიც, ჩამქრალი მაშინდელი თავისუფლება.

—

რასაც ახლა ქვევით მოგახსენებთ, რასაკვირველია, ამის მზგავსი არაფერია შიგ, მარა ეს ზევითური ამბავი მომაგონა იმ ერთი ვინმეს ნათქვამმა. ეს სიტყვები კი სთქვა იმ ვინმემ იმ პატარა წერილის გამო, რომელიც დღეს იბეჭდება ქვემოთ. ამ წერილთან ერთად რუსულათ შედგენილი მოწმობა მოგვივიდა, რომელსაც რუსულათვე ხელს აწერს თოთხმეტი ახალგაზდა ქართველი... ქართული გაზეთის რედაქცია „რუსული სუდი“ არაა მარა ალავერდოვი რომ არის, იქნება, იმიტომ ჩაუპარუსკეს. და იქნებ ეგ ალავერდოვი მასიანიც იყოს და ასე თუ ისე, ეჭვიც გვებადება—საბუთია თუ არა ეს საბუთი?

—

ერთი ყოველ კვირული გაზეთია „კლდე“—უკანასკნელ ნუმერში კლდესავით დაგვეტაკა, საყურადღებო და საინტერესო წერილები მიწის მობილიზაციის საკითხი ადმოს. საქართველოში, რატომ დაიბეჭდა „იმერეთში“, როცა ამ გაზეთს „ნაკლებათ იცნობს მკითხველი საზოგადოებაო, და ამიტომ ეს წერილები, იძულებული ვართ ჩვენ გადმოვბეჭდოთ „კლდეში“ და მით მთელს საქართველოს შეძლება მივსცეთ იმის წაკითხვისაო. „რაც შეეხება დანარჩენ წერილებს (პირველი ფელეტონის გარდა), სადაც ავტორი უმთავრესათ კრიტიკას უწევს სადგ.-მამულდ. კამისიას, ამათი მოყვანა მთლათ, ზედმეტათ მივაჩნია, როგორც მრავალი შეცთომის მატარებელი (?) და ვეცდებით ამის გამორკვევას შემდეგში... ვერა გავიგე-რა. ნეტა, რამდენი მატარებელი სჭირდება კლდის რედაქციას თავის ორგანოს გასაგზავნ-გამოსაგზავნათ საქართველოს ყოველ კუთხეში? შეცთომების მატარებლათ მიგვაჩნია გაზ. კლდე, როცა ფიქრობს, რო ჩვენა და ჩვენს მკითხველებს არ გვაინტერესებდეს აღმოსავლეთ საქართველოში მიწის საკითხის ბედი, ყბედი გამოდის რედაქცია ამ შენიშვნისთვის.

**სამშაბათელა.**

# რუსეთი.

**მინისტრთა „გაფიცვის“ ლიკვიდაცია.** ხმები დადის, რომ სათათბიროს დახურვის წინ თავჯდომარე—როძიანკო შენიშვნას მისცემს სათათბიროს და უსაყვედურებს. რომ ზოგიერთი დეპუტატები ბოროტათ სარგებლობენ სიტყვის თავისუფლებით და ამითი უნდათ ბოლო მოუღონ მთავრობასა და სათათბიროს შორის მომხდარ კონფლიქტს.

**მისალოცი დეპეშის შედეგი.** სიმფეროპოლის გუბერნიის ნოქართა სიეზდმა მისალოცი დეპეში გაუგზავნა ს.-დ. ფრაქციას, რის გამო პოლიცმეისტერმა დახურა კრება. დელეგატების მოლაპარაკებას შემდეგ გუბერნატორთან ისევ დართეს ნება განეგრძოთ სხდომები.

**პელიკანოვშჩინა.** გაზ. „ადესკია ნოვოსტის“ ერთ-ერთ ნუმერში ... ჩეული ქალაქის თავს ... „პოგრომშჩიკს“, ყაჩაღთა ბრბოს მეთა... და სხვ.

**სხვადასხვა ...** ... ჰიმნის: „ღმერთო, უფალმა ... ბალტიის მხარე“-ს ... ოდესის გუბერნატორმა დამტუსაღებია ... ნებით მოვაჭრე ბაუსკე.

დეპუტატმა კოლდმანმა შინაგან საქმ... მინისტრთან უჩივლა გუბერნატ... რაზედაც მინისტრმა უპასუხა, რომ ... გალობაში ვერავითარ უკანონობას ხედავს.

# მოკავშირეთა ომი.

**ბულგარლების დამარცხება.** ბულ... რეთის 100 ათასი რეგულიარული ... რისკაცი მდინარე ბრეგოლანიცის ... ლობლათ სერბიელებს თავს დაესხა.

ბრძოლა 17 ივნის მთელ დღეს ... გძელდა. გამარჯვება ჯერჯერობით ... ბიის მხარესაა.

**იშტიბის აღება.** იშტიბში სერბიე... მა ბულგარლები სასტიკათ დაამარც... იშტიბი სერბიელებს დარჩათ. ბულგ... ლებმა იშტიბიდან შვიდი ვერსით ... დაიხიეს. სერბიელებმა ამ ბრძოლ... ოთხასი კაცი დაკარგეს, ამათში ორმ... აფიცერი. არის სხვა ცნობაც, თით... სერბიელებმა 1400 კაცი, ხოლო ბ... გარლებმა 4—5 ათასი დაკარგესო.

**ბერძნები.** 19 ივნის ბერძნები ... უბში ბულგარლების ჯარს თავს ... სხენ. ბრძოლა დილის ხუთ საა... დაიწყო. საბერძნეთიდან ცნობაა—ბ... გარლები სოფელ მაგდანიცაში ... დენ და ქალები და ბავშები აწამ... ბერძენთა 19 ჯარისკაცი, ტყვეთ ... დეს და მოკლესო. ბერძნებს ტყ... ბულგარლები ბევრი ყავსო.

**ბულგარეთის ულტიმატუმი.** ბულ... რეთმა სერბიასა და საბერძნეთს ნო... გაუგზავნა. რომელსაც ულტიმატუმის ... სიათი აქვს. ათინის და ბელგრადის მ... რობა თუ 24 საათის განმავლობაში ... უბრძანებს თავის ჯარს აგრესიული მ... მედება შეაჩერონ, მაშინ ყოველგვა... პასუხისმგებლობა მათ ედება და ომი ... მოცხადებულათ ჩაითვლებაო.

— 17 ივნისის ბრძოლაში ასი ათ... ბულგარელი ჯარის კაცი იბრძოდა. ბ... გარეთის ჯარს რადკო-დიმიტრიევი ხ... მძღვანელებდა. ბულგარელების მიზანი ... სერბიელები გაერეკათ და „ოვჩე პ... აეღოთ. ოვჩე პოლე მაკედონიის გასაღ... წარმოადგენს. ბულგარელებს რომ ... განზრახვა აესრულებიათ მაშინ პრილ... და მონასტირს სერბიელები ვერ ... დენ.

# მშრომელი ხალხი.

— ტრანსვალიის (სამხრეთ აფრიკა... მადაროების მუშათა საერთო გაფი... მოსალოდნელი. კლეინფონტეინის მ... როების ადმინისტრაციასა და მუშებს ... რის ატეხილმა დავამ მწვავე ხასიათი ... იღო. მუშების წარმომადგენლებმა ...

## მომხმარებელთა კოოპერატიული საზოგადოებათა უმთავრესი დებულებანი.

საწევრო პირობები რაც შეიძლება ადვილათ შესასრულებელი უნდა იყოს; „მოგება“ უნდა განაწილდეს წევრთა შორის იმ თანხის რაოდენობის მიხედვით, რომელიც თვითოეულ მათგანს დაუხარჯავს; ვაჭრობა ნაღდზე უნდა წარმოებდეს; სასურველია და უმჯობესიც საქონელი მხოლოთ წევრთა შორის ნაწილდებოდეს“ და დასასრულ, თუ საზოგადოება განსაკუთრებულ თანხას გადასდებს საჭიროებისამებრ მოსახმარათ, ყოველ შემთხვევისათვის უზრუნველყოფს თავისი ნაყოფიერ არსებობას.

„იმერეთის“ ორმოცდა მეთუთხმეტე ნუმერში (15 მაისის) ჩვენ შეძლებისდაგვარათ განვმარტეთ ის მოუწესრიგებლობა, რომელიც სუფევს თანამედროვე სიმდიდრის განმანაწილებელ ორგანიზაციაში და ისიც, თუ მომხმარებელთა კოოპერატიულ საზოგადოებათ რამდენათ შეუძლიათ შეამსუბუქონ ამ გარემოებით წარმოშობილი მძიმე პირობები და დასასრულ გამოვსთქვით სურვილი, რომ ჩვენშიც, მგზავრათ დაწინაურებული ქვეყნებისა, გამრავლებულიყოს მომხმარებელთა კოოპერატიული საზოგადოებანი. ამას შემდეგ ჩვენს მიზანს შეადგენს, მოკლეთ გამოვესაუბროთ „იმერეთის“ მკითხველთ იმის შესახებ, თუ როგორი უმთავრესი დებულებებით უნდა ხელმძღვანელობდენ მგზავსი საზოგადოებანი.

მომხმარებელთა კოოპერატიული საზოგადოებათა სარგებლობა დამოკიდებულია იმაზე თუ როგორი დებულებით ხელმძღვანელობდენ დამარსებლები. თუ გვინდა, მომხმარებელთა კოოპერატიულმა საზოგადოებამ მოგვიტანოს სასურველი შედეგი, უპირველეს ყოვლისა უნდა შევქმნათ ისეთი საწევრო პირობები, რომელნიც აადვილებდენ წევრობას. რამდენათ პირობები ადვილათ შესასრულებელია, იმდენათ მეტი წევრი ეყოლება საზოგადოებას და საწარმოვო თანხაც შედარებით დიდი ექნება. თვითოეული ახალი წევრი თავის წვლილსაც უმატებს საერთო თანხას და ეს გარემოება აფართოვებს საზოგადოების მოქმედების ასპარეზს და რამდენათ მეტი თანხა იქნება საზოგადოების განკარგულებაში მით უფრო მეტი ეკონომიას გააკეთებს იგი...

უფრო ნათლად რომ დავინახოთ ეს, წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა, რომ საზოგადოება არ ღებულობდეს ახალ წევრთ და ან ღებულობდეს, მაგრამ ამისთვის ძნელი პირობები იყოს შესასრულებელი. ამ შემთხვევაში საზოგადოება წარმოადგენდა ერთ კარჩაკეტილ დაწესებულებას და წევრებიც ნაკლებათ ეყოლებოდა და ეს გარემოება კი აიძულებდა მათ საქონელი უმთავრესათ არა წევრთათვისაც მიეყიდათ და ამ სახით, „მოგება“ გაედიდებიათ. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს დაწესებულება ემზგავსებოდა აქციებზე დამყარებულ საზოგადოებას, რომლის წევრი დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი მოგება ხვდეს წილათ და რადგანაც მომხმარებელთა კოოპერიტიულ საზოგადოებათა მიზანი სულ სხვაა, მზგავსი საზოგადოება დაკარგავდა ყოველ საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

მაგრამ მარტო წევრათ ჩაწერა როდია საკმარისი. აბა, წარმოიდგინეთ, რა მნიშვნელობა ექნებოდა ისეთი წევრის შეძენას, რომელიც არაფერს, ან ძალიან ცოტა საქონელს გაიტანდა საზოგადოების მაღაზიიდან. მზგავსი წევრის მოქმედება უბრალო ქველმოქმედებას ემზგავსებოდა და მისი დამამტკიცებელი იქნებოდა, რომ ნაკლებათ ქონია მას გათვალისწინებული მიზანი საზოგადოებისა.

საზოგადოების სარმოება იმაზეა დამოკიდებული, თუ მას ბევრი წევრი ყავს და ყველა მხოლოთ საზოგადოების მაღაზიიდან ეზიდება საქონელს. ამ მოსაზრებით ყველა მომხმარებელთა კოოპ. საზოგადოება უნდა ცთილობდეს, რაც შეიძლება მეტი წევრი იყოლიოს; ეს კი შესაძლებელია, თუ ამისათვის პირობები ყველასათვის და ყოველმხრით ადვილათ შესაძლებელი იქნება.

უპირველეს ყოვლისა საწევრო ფულის რაოდენობა რაც შეიძლება მცირე უნდა იყოს. გარდა ამისა საწევრო ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდაც დიდი შეღავათია და თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ შესაძლებელია, ახალ წევრს, საწევრო ფულის იმ ნაწილს, რომელიც მასზე ითვლება კიდევ გამოურიცხავთ იმ თანხიდან, რომელიც მას ერგება წლის ბოლოს როგორც „მოგება“, წევრათ გახდომა მეტათ გაადვილებული იქნება*) და ეს გარემოება კი ბევრ წევრს შესძენს საზოგადოებას, და თუ რამდენათ მეტი წევრი მიემატება საზოგადოებას, იმ... ნათ შემდეგისათვის მეტი შეღავა... ანი პირობები შეიძლება დამყარ... ახალ წევრთათვის, მართლაც, თუ ... ზოგადოებას წევრთა საკმაო რიცხვი ყ... საწარმოო თანხაც უზრუნველყოფილ... ნება და ეს გარემოება კი აძლევს მას ... შვალებას საწევრო გადასახადი კიდევ ... რო შეამციროს; უკანასკნელი გარემო... კი იმის თავდებია რომ საზოგადო... წევრთა რიცხვი უფრო გაიზარდოს და ... რიგათ ამ საზოგადოების გავლენას მცხო... რებთა ფართო ნაწილი დაექვემდებარ... რაც მეტათ სასურველია, რადგანაც, ... გარდა რომ ეს წევრთ საცხოვრებელ ე... ნომიურ პირობათ უადვილებს, სო... ლურ აღზდასაც აძლევს მათ—სოციალ... მის პრინციპებს ამტკიცებს მათში.

ყველა მოყვანილ მოსაზრებათა მიხ... ვით გაადვილებული უნდა იქნას წევრო... რაც უზრუნველყოფს საზოგადოების ნ... ყოფიერებას.

საზოგადოება უნდა ხელმძღვანელობდ... წერთა შორის იმ თანხისა განაწილე... საქმეს, რომელიც წლის ბოლოს ყოვე... ვე საქმისათვის საწარმოვო და სხვა ხა... ჯების დაფარვას შემდეგ დარჩენია ... როგორც „მოგება“.

მოკლეთ გავითვალისწინოთ ამ „მოგე... ბის“ წარმოშობა. წარმოვიდგინოთ, რომ ... საზოგადოება ყიდულობს ოცი ათასი ...

*) მზგავსი მოვლენა ფრიად ხშირია შვეიცარიის კოოპ. ცხოვრებაში.

მოლაპარაკება და მთელი ქვეყ-
...ებს მიმართეს.
...რიგაში „უნიონის“ გაფიცულმა
...ა დემონსტრაცია მოახდინეს. რო-
...დემონსტრანტებმა ალექსანდრეს
...მიაღწიეს და რევოლუციონური
...ები დაიწყეს, გაჩნდა პოლიცია და
...გაფანტა. დატუსაღებულია 13

...ამს წინათ სამხედრო სასამართლომ
...ლით დასჯა გადაუწყვიტა მეზღვა-
17 ამ თვეს პეტერბურგის ქარ-
...მრავლესობაში მოულოდნელათ
...ლა მუშები პროტესტის ნიშნათ.
...ადრიანათ გაფიცულა ლითონის
... მუშები (4000 კაცი), „ახალი
... მუშები (1300 კაცი), „ფენიქ-
...ხნის მუშები (1000 კაცი), გა-
... თუთუნის ქარხნის მუშები (300
...ძმ. კორნილოვების ფაიფურის
... მუშები (350 კაცი), ბრეისის
... გიტის (15 კ.) და სიროტის
... მუშები (30 კაცი).
...ღევს გაიფიცნენ: „პრომეტის“
... რიცხვით 50 კაცი, ნობელის—
... „პარვიაინენის—600 კ., დიუ-
...—250 კ., როზენკრანცის 1700
...თელო ტელეფონისა და ტელე-
... ამხ. ქარხნის—150 კ. ბარანოვ-
...800 კ. და სხვ. ჯერჯერობით გა-
... 15,000 მუშამდი.
...ოფ. რომანოვკაში (ჟიტომირის
...რარულ ნიადაგზე შეტაკება მო-
...ლეხეებსა და ტყის მცველებს. მო-
... 1 გლეხი, მძიმეთ დაჭრილია 3.

## ...ოვნური კბილები.

...რე სულ პაწია ფელეტონი.

...ნე ოქროპირი“—ასე ეძახდენ ამ-
... ივანე კიკლიაშვილს,—სულ რა-
...ადოშვიდი წლის ახალგაზდა იქნე-
...რომ რაღაც გამოურკვეველი მი-
...ეზით აღარც ერთი კბილი არ მოე-
...—ყველა დაცვინდა. ბევრი იარა
...ან, სპეციალისტებსაც მრავალს მი-
...მარამ არა ეშველარა. სისხლითა
...ცით სავსე ახალგაზდას უკბილო-
... ტუჩები მოეპრუწა, ყბები ჩა-
... და ასი წლის მოხუცს დაემზგავ-
...უწყეს აქიმობა ჩვენში სა-
...ოქმულმა შინაურმა „აქიმბაშებმა“
...ურჩევდენ ახალი კბილები ამოგი-
... ბალახ-ბულახის წვენი არ ასვეს
...ლავდენ კუპს, რა აბები არ აყ-
...მაგრამ ამაოთ: დარჩა უკბილოთ
... ოქროპირი“.
... შეურიგდა, რომ ხელოვნური
... უნდა გაეკეთებია. გაიკეთა კი-
... კვლათ ყველას სასურველი სტუ-
...შეიქნა უწინდებურათ.
...აზე იქნებოდა, თუ სადმე წვეუ-
..., უსათუოდ მხიარულება იჩენდა
„იოანე ოქროპირის“ ბუნებრივი
...ტყველობა და წმინდა ქართული,
... იშვიათია ჩვენს ახალგაზდობაში,
... ყურადღებას იპყრობდა, ყველას
...და, ყველა სმენათ იყო გადაქცეუ-
...ეზის გაფრენას გაიგონებდა კაცი

მისი ლაპარაკის დროს. კიდეც ამიტომ შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე და ჩინებულათაც გაათავა.

ივანე კიკლიაშვილს სხვებსავით არ უყვარდა მაღალფარდოვანი სიტყვებისა და ბუნდოვანი წინადადებებით შელამაზება სიტყვის. თვით ბუნებისაგან იყო დაჯილდოვებული ორატორული ნიჭით. არც ხელების ფათური და თვალების ბრიალი იცოდა ზოგიერთებივით, წარბების აჭიმვა და ტანის რხევა ხომ მომაკვდინებელ ცოდვათ მიაჩნდა.

მის დინჯ, დალაგებულ, მკაფიო და ანკარა წყაროსავით მომდინარე სიტყვას ყველა განცვიფრებაში მოყავდა და აკი ამიტომაც უძახდენ „ქართველ იოანე ოქროპირს“. ქართულის არ მცოდნეს რომ შეეხედა მისთვის ლაპარაკის დროს, იფიქრებდა ზღაპარს უამბობს პატარებსო.

ხელოვნური კბილების გაკეთებას შემდეგ კი დიდხანს იყო პირში წყალჩაგუბებულივით ივანე კიკლიაშვილი, რადგან კარგა ხანს ვერ შეეჩვია მათ და უხერხულათა გრძნობდა თავს:—ლაპარაკის დროს მისი ხმის გარდა, კიდევ როგორიღაც ერთგვარი შრიალი მოისმოდა.

მრავალმა სხვადასხვა საზოგადოებათა კრებამ ჩაიარა ისე, რომ არავის მოუსმენია „ოქროპირის“ ენაწყლიანობა, მრავალმა ქორწილ-ნათლობამ და წვეულებამ ჩაიარა ისე, რომ არავინ დამტკბარა მისი დროს შესაფერი სადღეგრძელოებით, რომელშიც ყველგან და ყოველთვის რაიმე საჭირ-ბოროტო საკითხი უნდა გაერკვია და კამათი და აზრთა გაზიარება უნდა გამოეწვია დამსწრეთა შორის; ერთი სიტყვით დადუმდა სახალხო ტრიბუნი... რამდენიმე ხნით საქმეების დაცვაც შეწყვიტა სასამართლოში: რცხვენოდა, რომ „ოქროპირათ“ წოდებულს სოფლის მოუხეშავი და გაუნათლებელი „აბლაკატიც“ ბევრათ უკეთეს სიტყვას წარმოსთქვამდა, რომელიც ორ სიტყვას ვერ წააბამს ერთმანეთზე, ის „აბლაკატი“, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

ნათქვამია: „გაჭირება მიჩვენეო და გაქცევას გიჩვენებო!“ დაიწყო კიკლიაშვილმა ვარჯიშობა, კითხულობს **ხმამაღლა** სხვადასხვა წიგნებს, ჩაიკეტება მთელი დღეებით სამუშაო ოთახში და არავის იღებს. ხანდახან ერთსა და იმავე წიგნს სამჯერ და ოთხჯერ გადაიკითხავს... მოსვენება აღარა აქვს საბრალოს, რომ როგორმე აღიდგინოს ძველებური მკაფიო გამოთქმა.

რამდენჯერ სცემია მის ყვირილზე, შეშინებული მოსამსახურე სამუშაო ოთახის კარებს, რომ შეეტყო, რა დაემართა ბატონს, რა აყვირებსო და განცვიფრებული გაკვირვებული უკანვე გამობრუნებულა, როდესაც ყვირილის მიზეზი გაუგია.

შრომას ტყვილათ არ ჩაუვლია ოქროპირისთვის: რამდენიმე თვეს შემდეგ ისევე მომხიბვლელათ დაიწყო ლაპარაკი, როგორც უწინ. საჯარო კრებებზე ჯერ კიდევ ვერ ბედავდა გამოსვლას—ეშინოდა—ვაი, თუ შუა სიტყვის დროს შემოშალონ ხელი ახლათ შეძენილმა კბილებმაო, მაგრამ ამხანაგ-მეგობრებში და წვეულობაში ისე გაივარჯიშა, რომ სულ პატარა ხნის განმავლობაში ისევე კვლავინდებურათ ყველას სასურველი სტუმარი შეიქნა.

ერთ მშვენიერ დღეს რომელიღაც საზოგადოების კრება იყო დანიშნული და წინდაწინვე იცოდა, რომ მოსალოდნელი იყო ორი მოპირდაპირე ჯგუფის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება და გამწვავებული ბრძოლა, მოსალოდნელი იყო მკაცრი და სასტიკი კრიტიკა საზოგადოების სათავეში მდგომთა მოქმედებისა. შეუძლებელი იყო „იოანე ოქროპირის“ უტყვ მოწმეთ დარჩენა. თვითონ რო მოენდომებია კიდეც, ამხანაგები შეუჩნდებოდენ და ათქმევინებდენ სიტყვას.

ამ მიზნით წინადღესვე დაიწყო მზადება: მოიწვია რამდენიმე ნაცნობ-მეგობარი და მეორე დღისთვის მომზადებული სიტყვა თავის საკუთარ სამუშაო ოთახში ჩაარაკრაკა მათ წინაშე. ამხანაგების სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც დარწმუნდენ, რომ მართლა ისევე უწინდელი ენაწყლიანი „იოანე ოქრპირი“ იდგა მათ წინაშე, არავითარი ცვლილება მის გამოთქმაში, ტაშსა და ვაშას ძახილს დასასრული არ ქონდა.

ისეთი გავლენა იქონია ამ გარემოებამ. რომ ქართველურათ ერთი კარგი ლხინისა და დროს გატარება მოინდომეს და რამდენიმე ეტლით ქალაქის განაპირას, „სამოთხის ბაღისაკენ“ მოკურცხლეს. სიტყვებს და მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. თვითოეული თავისებურათ ულოცავდა „განკურნებას“ და სიხარულს გამოთქვამდა, რომ სამუდამოთ არ „დადუმდა“ თაფლის მფრქვეველი ბაგენი. არც ბედკრული საქართველო დავიწყებიათ და მასაც უსურვეს „განკურნება“.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, რომ კარგა შეზარხოშებული დაბრუნდენ თავთავის ბინაზე. კიკლიაშვილმაც მიაშურა სახლს, რომ ძილი არ დაკლებოდა და მეორე დღეს ძალ-ღონით სავსე პირველათ გამოსულიყო „ავათმყოფობას“ შემდეგ საჯაროთ სიტყვის წარმოსათქმელათ, თუმცა კიდევ რაღაც აფიქრებდა, სულს უხუთავდა რაღაც წინაგრძნობა.

ძილის წინ ყოველთვის გამოიღებდა კბილებს და ცივი წყლით სავსე ჩაის ჭიქაში ჩააწყობდა, აქიმებმა ურჩიეს ასე. შუაღამეს გადაცილებული იყო, რომ სახლში დაბრუნდა, მსახურს უკვე ეძინა; კიკლიაშვილის ბუნებაში გაიღვიძა მაშვრალთადმი გულშემატკივრობამ და შებრალებამ, აღარ შეუწუხებია მსახური და თვითონაც დაიზარა სამზარეულოდან წყლის გამოტანა. კბილები კი მაინც გამოიღო და იქვე საპირფარეშო მაგიდაზე დააწყო.

ტანსაცმელი გაიძრო და ჩაწვა ლოგინში, მაგრამ არ იქნა და არ მოეკიდა ძილი, რაღაც აწუხებდა, სულ იმას ფიქრობდა—კბილები არ დამეკარგოსო, თითქო ქურდი ან ყაჩაღი რო შემოსულიყო მაინცდამაინც უსათუოთ კბილებს მოპარავდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა... ღმერთო! რა დაესიზმა: აი, ვითომ მეორე დღეს კრებაზეა, ილაპარაკა რამდენიმე ორატორმა, მთელი კრება მოუთმენლათ ელის „იოანე ოქროპირის“ სიტყვას. მრავალი უცნობი მოსულა დაინტერესებული, რომ ყურთა სმენა დაიტკბოს მისი მჭერმეტყველებით... რამდენი ხანია კრინტი აღარსად არ დაუძრავს სახელგანთქმულ ორატორს. გასათხოვრები ხომ, ეს ყოველგვარი კრების დამამშვენებელნი, მიგზირებული არიან—როდის იქნება ის ბედნიერი წამი, რომ დესტკბებიან „სახალხო ტრიბუნის“ სიტყვით. თუ უკვე ველარ დასტკბებიან, დასაცინი და ჭორის მასალა მაინც ექნებათ. ყველა ამასა გრძნობს კიკლიაშვილი, ყვითლდება და წითლდება, ვერა ბედავს სიტყვის თქმას... მაგრამ დგება დრო, ისიც უნდა ალაპარაკდეს ძალაუნებურათ, ითხოვს თავჯდომარისაგან სიტყვას... მთელი კრება შეინძრა, რაღაცას მოელის... ძლიერი აღელვება ეტყობა თვით კიკლიაშვილსაც... თავს იმაგრებს და იწყებს: „ბატონებო!“.. გული ყელში ებჯინება... ერთ წამს შეჩერდება, სულის მოსაბრუნებლათ, თვალს გადაავლებს კრებას... ყველა სმენათაა გადაქცეული... ყველა მას მისჩერებია პირში... თვალს თვალში უყრიან... კიკლიაშვილი განაგძობს; ნელნელა შედის თავის ქერქში... სიტყვა გაათავა... დიდხანს ისმის ვაშას ძახილი და ტაშის გრიალი... ვერავითარი ნაკლი ვერ გამოუძებნეს, ისევ უწინდელი „ოქროპირია“, უკეთესიც.

ბორგავს ძილში კიკლიაშვილი, ვერ ისვენებს... უცებ გამოეღვიძა და სიზმრის გავლენით აღელვებულმა ასანთს ჰკრა და საპირფარეშო სუფრას მიაშურა... ნახა, კბილები იქ აწყვია, სადაც დასდო; დამშვიდებული ისევ მიწვა ლოგინზე, მაგრამ სიზმარი კი რაღაც ხინჯათ ჩარჩა გულში, თუმცა ცრუმორწმუნე არ იყო...

ბოლოს, როგორც იქნა, მიეძინა.

დილის ათ საათზე ისევ ტკბილ ძილში იყო „იოანე ოქროპირი“. მსახური ფეხაკრეფით შევიდა საძინებლო ოთახში და ტანსაცმელი უნდა გამოეტანა გასაწმენდათ. უცებ შეხედა კბილებს საპირფარეშო სუფრაზე და შიშით, რომ ბატონი არ გამირისხდესო, რადგან ღამითვე არ მოუმზადა ჭიქით ცივი წყალი, კბილები თან წამოიღო, რომ ახლა მაინც ჩაეწყო წყალში ნახევარი საათით და ცოტათი გაენელებია ბატონის რისხვა. ტანსაცმელი გარეთ ჩამოკიდა და კბილები სამზარეულოში შეიტანა წყალში ჩასაწყობათ... და თითონ მეორე ოთახში გავიდა ტანსაცმელის საწმენდი ჩოთქის გამოსატანათ.. კბილები კი სამზარეულოში დააწყო... დაბრუნდა ტანსაცმლის გასაწმენდათ და ის კი დაავიწყდა, რომ კბილები დარჩა და ჭიქაში არ ჩააწყო.

ამასობაში კიკლიაშვილსაც გაეღვიძა, ტანს ჩაიცვა, პირი დაიბანა და... მიაშურა საპირფარეშო მაგიდას კბილებისათვის და ელდა ნაცემივით მოტრიალდა, რადგან კბილები ვეღარ ნახა თავის ადგილზე. დაუძახა საჩქაროთ მსახურს და გამოკითხა—რა იქნა კბილებიო. მსახურმა აუხსნა წაღების მიზეზი და ის იყო გაბრუნდა გამოსატანათ, რომ ამ დროს ვიღამაც დარეკა ზარი. მსახური კარების გასაღებათ გაქანდა და კიკლიაშვილი კი სამზარეულოსაკენ გაეშურა. შეაღო სამზარეულოს კარები და მომაკვდავივით გაფითრებული იქვე მიესვენა კარებს, მუხლები ჩაეკეცა და იქნება გულწასულიც დაცემულიყო, რომ გონება არ მოეკრიბა და თავი არ შეემაგრებინა; საშინელება რამ ნახა: კარგა მოზრდილ თაგვს წაევლო პირი კიკლიაშვილის კბილებისათვის და სადღაც მიათრევდა. უცებ დაუცაცხანა თაგვს და გაქანდა კიდეც სუფრისკენ, მაგრამ გვიანღა იყო.

კიკლიაშვილის ფაცურზე შეშინდა თაგვი და სწრაფათ შეტრიალდა გასაქცევათ, კბილები კი დაბლა ცემენტის იატაკზე გადმოვარდა და რამდენიმე ნაჭრათ იქცა.

სული არ ამოსვლია, თვარა ერთი სიკვდილი გამოიარა კიკლიაშვილმა.

„იოანე ოქროპირი“ იმ დღეს აღარ დასწრებია კრებას.

**გ. მუმლაძე.**

## გ უ რ ი ა.

სოფ. **შუხუთი.** დიდი სიამოვნებით წავიკითხეთ გაზეთებში ცნობა, რომ ბ-ნი ვარ. ძიძიშვილი მთავრობის ნებართვით აპირობს ჩამოიაროს გურია, შეყაროს ყრილობა, შეაგონოს ხალხს და დაადგინოს განაჩენი, რომლითაც ვალდებული იქნებიან. მოსპონ უსარგებლო ხალხის გამანადგურებელი ხარჯები: ტირილის, ქორწინის, დღეობის და სხვა. ამის წამკითხავი სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექი და ვფიქრობდი, ჩვენი სოფლის მა ავლებლები ძიძიშვილის ხალხის საკეთილდღეო სურვილს სიამოვნებით მიეგებებიან და მისთვის დახმარებას არ დაზოგავდენ. მარა სინამდვილემ გული მომიკლა... ზოგიერთ მასწავლებელს ჯვარი სწერია, მაგრამ ზოგიერთებს, რომ მართლა საუკუნო „ჯვარი“ დაესვას მგონი, რომ ქვეყანამ არაფერი იზარალოს. ზოგი მასწავლებელი არა თუ იმას არ ცდილობს, რომ ხალხი გამოფხიზლდეს და ტრადიციით განმტკიცებული უსარგებლო ჩვეუ-

(20,000 მ.) საქონელს, რომელსაც ...განმავლობაში „ანაწილებს“ თავის ...შორის და ღებულობს ამ უკა...თაგან ოცდახუთი ათას მანეთს ...მ.) როგორც საფასურს. საქმის ...ოთ დახარჯულა თანხათაც ორი ...თი მანეთი (2.500 მ.) ვივარაუ... თუ იმ თანხას, რომელიც საზოგა...საქონლის შესაძენათ დაუხარჯავს ...სი მ. (20.000 მ.), ჩვენ მივუმა... უკანასკნელს, მივიღებთ ოცდა ...ს ხუთას მანეთს (22.500 მ.) და ...თანხიდან, რომელიც საზოგადოე...ლის განმავლობაში შემოსულია ...თი ათასი მანეთი (25.000 მ.) ...ცხავთ დანახარჯს ოცდა ორი ათას (22,500 მ.), ჩვენ დაგვრჩება ორი ...თასი მანეთი (2.500 მ.), რომე... საზოგადოებას თვისი წევრთაგან აუ... როგორც ზედმეტი ღირებულება და ...ც საზოგადოებისავე წევრებს უნ...რიგდეს,

...გათ ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგა... იმ თანხიდან, რომელიც მას ქონ...მოებაში ოცდა ორი ათასი მანეთი ...მ.) „მოგება“ დარჩენია ორი ...თასი მ. (2.500 მ.) რაიც შეად...ბლოებით მანეთზე თერთმეტ კა...პიკს. მაგრამ ჩვენ, შემდეგი ან... გასაადვილებლათ, ვიანგარიშოთ ... ორი შაური. ცხადია, ყოველი წევრი მიიღებს იმდენ ორ შაურს, რამდენი მანეთის საქონელი გაუტანია საზოგადოების მაღაზიიდან, თუ მაგალითად, ერთერთი წევრი ხარჯავს წლიურათ 600 მანეთს, მას უკან დაუბრუნდება ექვსსაჯერ ათი კაპიკი, რაიც შეადგენს სამოც მანეთს (60).

მაგრამ, ხშირათ მომხმარებელთა კოოპერატიული საზოგადოებანი თავის საქონელს არა წევრთაც უთმობენ და რასაკვირველია ამ შემთხვევაში იმ „მოგებაში“, რომელიც უნდა განაწილდეს წევრთა შორის, ერევა ნაწილი შემდგარი საქონლის არა წევრებზე გაყიდვით. და თუ საზოგადოება არა წევრთ „მოგებიდან“ არ უბრუნებს იმის და მიხედვით, თუ რამდენის საქონელი გაუტანია ამ უკანასკნელთ და მხოლოდ წევრთა შორის ანაწილებს ამ სახით შექმნილ თანხას, ცხადია, წევრები მიიღებენ „მოგების“ იმ ზედმეტ ნაწილს, რომელიც მათ არ ეკუთნის და შემდგარა საქონლის არა წევრთათვის დათმობით და ეს კი ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების მიზანს; ან თუ პირიქით, საზოგადოება არა წევრთაც დაუბრუნებდა სარგებელს „მოგებიდან“, მაშინ ხომ არავინ მოისურვებდა წევრობას და ბოლოს საზოგადოებასაც თავისი მნიშვნელობა შეუმცირდებოდა.

როგორ უნდა მოიქცეს მომხმარებელთა კოოპერატიული საზოგადოება ასეთ შემთხვევაში?

ყველაზე უმჯობესია საქონელი ნაწილდებოდეს მხოლოდ წევრთა შორის ან არა წევრთაც ეთმობოდეს საქონელი იმ პირობით, რომ „მოგების“ ნაწილი, მათის „მუშტრობით“ წარმოშობილი მოხმარდებოდეს საზოგადოების სახელით რაიმე საზოგადო განმანათლებელ ან სხვაგვარ დაწესებულებას, რაც, სხვათა შორის, დიდ ნდობას და სიმპატიას მოუპოებს მას ხალხის თვალში და ბევრ ახალ წევრსაც შეძენს.

შემდეგ, უკეთუ საზოგადოებას უნდა ხანგძლივ იარსებოს, ვაჭრობა ნაღდზე უნდა აწარმოოს.

ხშირათ იტყვიან ხოლმე. რომ ნისიაობა დიდი სალავათია მომხმარებლისთვისო. ან ადგილობრივი პირობები ისეთია, რომ შეუძლებელია უნისიაოთ ვაჭრობაო. ეს ორი მოსაზრება სუსტ კრიტიკასაც კი ვერ უძლებს.

წვრილათ მოვაჭრე ნისიაობით ასე ვსთქვათ იმონებს ხელმოკლე მომხმარებელს. ეს უკანასკნელი თუ ნისიათ ხარჯავს, იძულებულია, უკანტროლოთ აიღოს ყოველი საქონელი: დაბალი ღირსების იქნება ის თუ არა სისწორით აწონილი. ფასსაც ისეთს უნიშნავს მას ვაჭარი, როგორც ამ უკანასკნელს მოეხასიათება. და ასეთ პირობებში ვაჭრობა რომ ხშირათ მეტათ ხელსაყრელია ვაჭრისთვის, მოწმობს ის ფაქტი, რომ მრავალი მათგანი პირიქით, ეძებს ასეთ შემთხვევას. საკმარისია გადაათვალიეროთ სხვადასხვა პერიოდული ან ყოველდღიური გამოცემათა ფურცლები, რომ ამაში დარწმუნდეთ.

გარდა ამისა მომხმარებელ საზოგადოების წევრი ნისიაობით იმდენათ ვალიანდება თანდათან, რომ ეს გარემოება სრულ ქონებრივ განადგურებას უქადის მას. რადგან ერთხელვე ეძლევა მას საშვალება ნისიათ შეიძინოს ყველა ის მასალა, რასაც მას თვისი დაწესებულება აწვდის, ისიც ეზიდება და ეზიდება, განსაკუთრებით თუ ეს უკანასკნელი მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონია და შემოსავალიც შედარებით პატარა აქვს, რაც მას უპირველეს მოთხოვნილებათ თუ დაუკმაყოფილებს. ერთი კვირის განმავლობაში აღებული ვალი რომ გაისტუმროს საჭიროა, მეორე კვირის განმავლობაში მოიკლოს და იმდენივე ეკონომია გააკეთოს, მაგრამ ეს არც ისე ადვილია საშუალო მომხმარებლისთვის, ისიც განაგძობს ვალის აღებას და ამრიგათ მისი ვალი მატულობს. და განა ამას ეთქმის სალავათი? შეიძლება, აქ მიგვითითონ ოჯახის სიღარიბეზე—გაჭირვებაზე, მაგრამ ასეთ შემთხვევისათვის მომხმარებელთა კოოპერატიული საზოგადოებით განსაკუთრებული თანხა უნდა ქონდეთ გადადებული დახმარების ამოსაჩენათ და ნაღდზე კი უნდა ვაჭრობდენ, რადგან ამას მოითხოვს ყველა წევრთა კერძოთ და საერთოდ საზოგადოების ინტერესები.

გარდა ამისა შენახული თანხა საშვალებას მისცემს საზოგადოებას, ისეთი საქონელიც მიაწოდოს თავის წევრთ, როგორის მიწოდება აქამდი არ შეეძლო. და რაც უფრო მნიშვნელოვანია, თუ საზოგადოება ამ სახით საკმაო საექსპლოტაციო თანხას მოუყრის თავს, მას საშვალება ეძლევა სრულიად გააუქმოს საწევრო ფული და მხოლოდ ვალდებულიყოს ყოველი წევრი საზოგადოების მაღაზიიდან იხარჯოს ყველაფერი, რაც კი ამ უკანასკნელს მოეპოება და თუ საზოგადოება ამ ზომას ერთხელვე მიაწევს, მისი მომავალი მით უფრო უზრუნველყოფილია ყველა წევრთა საკეთილდღეოთ.

**გ. ბ—ძე.**

დოზანა.

მიღებულია:
რკინის კოჭები შენობისთვის (Дутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✖✖ იყიდება ზომიერ ფასათ ✖✖

# სავაჭრო სახლი
# ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში

| | 1 ბოთლი | 10 ბოთ. |
|---|---|---|
| ბორჯომის წყალი 1/1 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. |
| 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 |
| ნარზანი დაფენ-ტუკი № 20 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 |

ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩ...

გაიხსნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკის... სახლის ავეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოება მსურველთათვის სპეციალისტი მონტიორები. ჩვენი მასალების ხარისხს სიავე... ვკისრულობთ. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.

ლების ნაყოფი. ხარჯები მოსპოს, არამედ პირიქით თითონვე იგონებენ ხალხის გასაყვლეფ ახალ მოდის ხარჯებს. რადგანაც ასეთი ამბავი მარტო ჩვენში არ მოხდარა, სამაგალითოდ მოგახსენებთ ერთს ამბავს, რომლის ჩამდენი აქაური სამრევლო შკოლის მასწავლებელია. ამ „განსწავლულმა“ პირმა ლატარიაში ჩააგდო მოძულებული დამტვრეული გიტარა. ბილეთი ორ აბაზათ დაასაღა. ზოგი ხათრით, ზოგი ბაძით და ზოგიც ვახშმით მოტყუვდა, ბილეთები იყიდეს. მასწავლებლებმაც მის პატივისმცემლებს პატივისცა, ვახშამი გაუმართა. ვახშმობამდი კი ბანქო, ლოტო და ნარდის თამაში გაჩაღა, რაშიც თითონაც მხურვალე მონაწილეთაგანი იყო. ვახშამის ხარჯს რაც გადარჩა, ის „კონათი“ მოიხმარა. ნუ თუ ეს შანტაჟი არ არის? ნუ თუ ამისი ჩამდენი ღირსია იმის, რომ მან სოფლის მასწავლებლის სახელი ატაროს? ასეთებს ყავახანაში უნდა ქონდეთ ადგილი და არა მოსწავლე ახალგაზდობასთან.

**სოკრატი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე შემდეგს:

„იმერეთის“ № 48 ბ. პლ. საყვარელიძემ უსამართლო და სრულიად უსაბუთო ცილი დამწამა, თითქოს მე რამდენიმე წლის განმავლობ ში „ვძიძგნიდი“ მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტთან არსებულ ქართულ სათვისტომოს და ვითვლებოდი უკანასკნელში მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან მატერიალური სარგებლობა -მიმეღო.

არავითარი სურვილი არ მაქვს არსებითად გამოვეკამათო ბ. პლ. საყვარელიძეს და საკმარისათ მიმაჩნია შემდეგი საბუთი მოვიყვანო:

„ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერელნი მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტთან არსებულ ქართული სათვისტომოს წევრნი ვამოწმებთ, რომ სათვისტომოს ყოფილ წევრს ს. ალავერდოვს არასოდეს არ აუღია სათვისტომოს კასიდან არც გძელ ვადიანი და არც მოკლე ვადიანი სესხი“

**ს. ალავერდოვი.**

მოსკოვი 7 ივნისი 1913 წ.

## შემოწირულობა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების 5 მაისს გამართულ სეირნობა ბაზრისთვის შემოვიდა შეწირულობა შემდეგ პირთაგან: თადეოზ წიქორიძისაგან—ჩითის ნაჭრები—2 მან,; ერმილე პატარიძისაგან—ჩითის ნაჭრები 2 მან.; გ. ამირაღოვისაგან—1 სკრიპკა.; საკო ალიბეგოვისაგან—ორი აბრეშუმის შარფი.; გვიჩია და ეფრემიძისაგან—წვრილი ნივთები 4 მან. და 10 შაურის.; ალექ. ახვლედიანისაგან—რიდიკული და ქოლგა.; გ. ეფრემიძისაგან—პორტმანი.; ჯაკობია, ყუფარაძე და გაგუასაგან—წვრილი ნიქთები 4 მან.; გრიგოლ გაბუნიასაგან—2 რწყვილი ჩლუქი, სარკე და ორი ჯოხი.; ამხანაგობა „სამეგრელო“-დან—10 ალაბი კუმაჩი.; გიორგი გალუსტოვისაგან—1 წიგნი—„ქართველი მწერლები“.; გ. მუმლაძისაგან—12 ცალი კარანდაში.; „ელეგარიდან“—სიგარები.; კალისტრატე მაჩიტაძისაგან—1 ჩარჩო სურათის.; ილიკო მარჯანიშვილისაგან—5 გირვანქა ხორცი.; თადეოზ ჩირაძისაგან—გირვანქა ხორცი.; ილარიონ ჯავახაძემ და გეგეჭკორმა—5 სულგუნი.; პორფირე ფურცხვანიძემ—3 გირვანქა ხორცი.; ბ. ჯანგავაძემ 3 გირვანქა ხორცი; ავეტიკ ყორჩიბაშევმა 7 გირვანქა ხორცი.; ძმ. ბუტულაშვილებმა 10 გირვანქა ხორცი.; მიხ. ჯავახაძემ—3 სულგუნი.; ალექსი გიორგაძემ—5 გირვანქა ხორცი; გ. ჯონგავაძემ—3 გირვანქა ხორცი.; პოლ. ჩოროდვინმა პური—4 ოყა.; ივანე დვალმა—2 ოყა პური; მიკირტ. ჩოროდვინმა—2 ოყა პური.; ბიკტორ დვალმა—1 ოყა პური; იაკობ ოსიპოვმა—21 გირვანქა პური; შალვა მურუსიძემ—1 ოყა პური; შემიკ ოღლიმ—3 ოყა პური.

ვასრულებთ შემომწირველთა სიას და გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს „იმერეთის“ რედაქციას ორი-სამი თვის განმავლობაში შემომწირველთა სიების ბეჭდვისათვის.

გამგეობის მონდობილობით მარიამ ვარდოსანიძის ასული და მელანია გველესიანისა.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელიძე.**

გამოცდილი მოახგარიშე
# დაეძებს
მოანგარიშის ადგილს რომელიმე სავაჭრო დაწესებულებაში.
იკითხეთ: ვორონცოვის ქუჩაზე, მოვაჭრე მაქსიმე მანაგაძესთან.

## რკინის გზა

| ქუთაისიდან მიდის. | | ქუთაისს მოდის. | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ. | **ოფილისიდან:** | სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით. |
| **ბათომს:** | სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ, 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ. | **ბათომიდგან:** | ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ. |
| **ფოთს:** | საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ. | **ფოთიდან:** | საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ. |
| **შორაპანს:** | საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ. | **შორაპნიდან:** | საავ. 9 ს. 31 წ. დილ. |
| **ტყიბულს:** | სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ. | **ტყიბულიდან.** | სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 11 საათ. 9 წ. დილ. |

აქციონერული საზოგადოება.
ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა
იზმაილოვის პროსპ. № 27
პარიზი 1900 ოქროს მედლებით ნიჟნ-ნოვგ. 1896.
## ქინაქინის წყალი თმისთვის.
ХИМИЧЕСКАЯ С. ПЕТЕРБУРГСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ. ЗАЯВЛЕНО ДЕПАРТАМЕНТУ ТОРГОВЛИ И МАНУФАКТУРЪ
როგორც შეზავებული ჯანმრთელობისათვის არა მავნე ნივთიერებიდან პეტერბურგის საქიმიო მართველობისაგან სავაჭრო დებულებათა მიხედვით გასაყიდათ ნებადართულია.
იყიდება ყველა კავკასიის სააფთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.
ყოველთვიურ ჟურნალ
# „განთიადზე“
(წელიწადი პირველი)
და ყოველკვირეულ გაზეთ
# „შინაურ საქმეებზე“
წელიწადი მეხუთე
წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.
**რედ. ღვ. ს. მჭედლიძე.**

# გ. გორდაძის და ს. წერეთლის
ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს მის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „бемское“
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.



## Имѣете дѣло съ самымъ авторомъ,
но не алчущими наживы издателями.
### великія тайны гипноза!
НАША СИЛА ВНУТРИ Н...
ХОТИТЕ ЛИ ВЫ ПОДЧИНЯТЬ ЛЮДЕЙ СВОЕи ВОЛ...
ВЛАДѢЯ ВЕЛИКОЙ ТАЙНОЙ СИЛОЙ?
Я, Психо-Френологъ Х. М. Шиллеръ-Школьникъ, даю дѣ... тельно полный курсъ гипнотизма, большой томъ, въ бог... съ золотымъ тисненіемъ переплетѣ **вмѣсто 12 р. только за 2 р.**

Мой курсъ заключаетъ въ себѣ много цѣннаго и новаго въ области ги... зма. Мое произведеніе ведетъ къ самоусовершенствованію, учитъ влiять и д... вать на окружающихъ посредст. внушенія въ состояніи бодрствованія.

Мой курсъ содержитъ въ себѣ 98 важнѣйшихъ главъ. Онъ учитъ влiят... ствовать и внушать безъ усыпленія. Только въ моемъ курсѣ имѣется обширн... дѣлъ чтенія чужихъ мыслей.

Въ немъ широко разработаны отдѣлы: лѣченіе посредствомъ открытаго... шенія пьянства, куренія, азартной игры, онанизма, неврастеній, головной... безсонницы. недержаніе мочи, заиканія и проч.

Самовнушеніе. Быстрое предотвращеніе страха. Укрѣпленіе памяти и ус... ніе разсѣянности.

Произведеніе это замѣчательно и рѣзко отличается отъ всѣхъ прочихъ... этого рода своей общепонятностью. По отзывамъ лицъ, пользующихся этим... сомъ гипнотизма, онъ раскрываетъ новый невѣдомый міръ, поднимаетъ духъ... строеніе, даетъ силу, мощь, ведетъ къ счастью и довольству. Роскошное зда... множествомъ рисунковъ, съ портретомъ автора и знамѣнитѣйшихъ медіумовъ... прохожденія моего курса не требуется никакихъ особенныхъ знаній. Онъ при... неоцѣнимую пользу мужчинамъ и женщинамъ, старымъ и молодымъ, богатым... днымъ, сильнымъ и слабымъ, здоровымъ и больнымъ. Мой курсъ вышелъ... значительно увеличеннымъ, исправленнымъ и дополненнымъ изданіемъ.

Въ курсѣ заключается слѣдующее содержаніе: 1) Введеніе. 2) Что тако... нотизмъ. 3) Исторія гипнотизма 4) Чѣмъ долженъ быть гипнотизеръ 5) Ка... гипнотизируемой личности. 6) Средства и методы гипнотизма. 7) Дѣйствіе... тизера на гипнотизируемую личность. 8) Гипнотическій сонъ, 9) Пробужден... Что чувствуетъ и испытываетъ усыпленный посредствомъ гипнотизма. 11) О... ваніе чужихъ мыслей. 12) Какъ развить способность чтенія мыслей. 13) Ме... способы чтенія мыслей. 14) Что способствуетъ удачнымъ экспериментамъ. 15)... мѣшаетъ удачнымъ опытамъ. 16) Какъ влiять, дѣйствовать и внушать безъ у... нія въ состояніи бодрствованія. 17) Опыты открытаго внушенія. 18) Лѣченi... средствомъ открытаго внушенія пьянства, куренія, азартной игры, онанизма,... стеніи, головной боли, безсоницы, недержаніи мочи, заиканія и проч. 19) Са... шеніе. 20) Быстрое предотвращеніе страха. 21) Укрѣпленіе памяти и устр... разсѣянности. 22) Совѣты намѣревающихся публично демонстрировать опыт... нотизма. 23) Побѣда мысли. 24) Пріемы и упражненія. 25) Путь къ счастью... вольству и пр. пр. Прошу не сравнивать съ московскими и иными лубочны... даніями, я даю за 2 р. вполнѣ законченный курсъ, никакихъ добавочныхъ ле... расходовъ не требуется. Брошюра съ отзывами и благодарности ученыхъ, в... поставленныхъ и знатныхъ особъ прилагается при всякомъ заказѣ. Здѣсь за... ніемъ мѣста для убѣжденія приводятся лишь нѣкоторые.

## Читайте!

Священикъ от. Василій Спѣвачевскій, почт. ст. Улановъ, Под. губ.: „В... чтимый господинъ Х. М. Шиллеръ- Школьникъ. Книгу вашу „Гипнотизмъ“ по... и прочелъ и искренно благодарю. При чтеніи книги мнѣ нѣкоторымъ образо... крылась завѣса тайнъ человѣческаго существа, которыя до извѣстной границ... гутъ быть постигнуты и подвластны человѣку. Я глубоко увѣренъ въ гуманн... добрыхъ намѣреніяхъ Вашей дѣятельности и поэтому остаюсь съ искренным... женіемъ священникъ Василій Спѣвачевскій“.

Василій Өедоровичъ Кремповскій Новороссійскъ, контора инженера Щ... вича пишетъ: Присланнымъ Вами курсомъ гипнотизма очень интересуюсь, з... юсь и благодарю васъ, чувствуя себя гораздо лучше. Мой братъ также поль... Вашимъ курсомъ и также очень доволенъ. Съ совершен. почт. Кремповскій.

В. В. Королевъ, Савино. „За курсъ гиптоизма ничего, кромѣ безгра... благодарности и сердечнаго „спасибо“ сказать не могу и лучшей благодарно... придумаю. Книга поражаетъ ясностью изложенія и цѣностью ея содержанія. ... всемъ этомъ она значительно и роскошно иллюстрирована въ богатомъ пере... и такая минимальнчя цѣна, какъ 2 р., какую Вы назначили, свидѣтельству... Вашемъ благомъ намѣреніи широко распространить эти драгоцѣнныя для в... свѣдѣнія и совѣты среди интересующихся, въ чемъ отъ души желаю Вамъ п... успѣха. Пребываю съ высокимъ почтеніемъ къ Вамъ В. В. Королевъ“.

Ермолай Алексѣевичъ Фроловъ. гор. Илекъ, Уральской обл., пишетъ: ... коуважаемый г. Шиллеръ-Школьникъ. Вашъ курсъ гипнотизма осчастливилъ... я достигъ блестящихъ результатовъ по гипнотизму. Я вылѣчилъ многихъ отъ р... ныхъ болѣзней и дурныхъ привычекъ. Никакой кладъ и богатство не могут... вниться съ пріобрѣтенными мною отъ Васъ познаніми. Я остаюсь искренно ... дарный и всегда готовый рекомендовать Вашъ курсъ, который можетъ при... большую пользу всѣмъ. Покорный слуга Фроловъ“.

Еслибы Вы захотѣли, для убѣжденія, обратиться къ кому либо изъ вы... менованныхъ лицъ, то приложите къ письму конвертъ съ Вашимъ адресомъ и... еной маркой. Восторженные отзывы, и благодарности отъ частныхъ лицъ п... ются ежедневно; у насъ ихъ множество, подлинники предъявляются во всяко... мя всѣмъ желающимъ у насъ въ конторѣ. Но кромѣ частныхъ отзывовъ и... дарностей, вотъ что пишетъ солидный с.-петербургскій оккультный журналъ ... ДА“, издаваемый извѣстнымъ ученымъ знатокомъ оккультизма И. К. Антошев... во второмъ номерѣ журнала за ноябрь 1910 г.: „Гипнотизмъ Х. М. Ши... Школьника, изящно изданная книга знакомитъ читателя, какъ теоріей, такъ... практическими пріемами гипнотизма. Среди множества сочиненій и лекцій п... нотизму эта книга заслуживаетъ особеннаго вниманія, благодаря весьма по... ному изложенію сущности гипнотизма. Несмотря на сравнительно невысокую... эта книга вполнѣ замѣняетъ дорого стоящія изданія американ. институтовъ.

Полный курсъ со всѣми приложеніями высылается за 2 руб. Деньги при... переводомъ, можно марками, только заказнымъ письмомъ, въ темномъ ко... плотно оклейвать края мелкими марками, Наложеннымъ платежомъ па 30... роже. Писать свою фамилію и адресъ ясно и разборчиво.‘

Нашъ адресъ: Варшава, Психо-Френологу Х М. Шиллеръ-Школьнику Пенкная...

# აბანო
## ძმ. ყორყოლაძეებისა
მიმართეთ პირდაპირ
**15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი.**
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და... თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილი... ფასი ხელმისაწდომი. ხრესილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათ... საჟენის მანძილზე. იქვეა სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი.

სტამბა „ძმობა“ კაზკაოვის ქუჩა სახლი № 17.